თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 13.01.2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ლაშა ლანჩავა

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ლაშა ლანჩავა, 2. რამაზი ლორთქიფანიძე, 3. დავით გოგბერაშვილი, 4. ნინო მახათაძე, 5. ელისო მურადაშვილი, 6. გიორგი ბრეგაძე, 7. ეკა ბერძენიშვილი, 8. ჯანო რობაქიძე, 9. თემური ქოჩიაშვილი, 10. გიორგი ყაზაიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ვლადიმერ მაკარიძე, 2. გიორგი ქასრაშვილი.

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

9. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

17. სადღესასაწაულო დღეების მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282600989, 09.01.2026 წ.);

18. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2826009102, 09.01.2026 წ.);

19. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2826009102, 09.01.2026 წ.).

მომხს.: ლ.ლანჩავა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ, კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე

სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 150 000 ათასი ლარი, ფინანსური დახმარების ოდენობა განისაზღვრა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების, მარტოხელა პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება 100 ლარის ოდენობით;
2. ობოლ ბავშვთა ოჯახების, შშმ პირთა ოჯახების, ვეტერანთა ოჯახების დახმარება 150 ლარის ოდენობით;
3. ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები დაავადების სიმძიმის მიხედვით 100/150 ლარი, სამი და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი) და სოციალურად დაუცველი ოჯახები(რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000) დახმარება 150 ლარით;
4. დაუნი, აუტიზმი, იშვიათი დაავადების მქონე და ონკოლოგიურ ბენეფიციართა ოჯახთა დახმარება 250 ლარით;
5. მოქალაქეებს რომლებსაც შეუსრულდა 100 ან მეტი წელი საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დახმარება 1000 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 500 000 ათასი ლარი, დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

1. 1000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50%-ით;
2. 1001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით 800 ლარით;
3. 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით 1000 ლარით;
4. 5001 ლარიდან ზემოთ 1500 ლარით.

   მოქალაქეების მეორედ მომართვის შემთხვევაში, რომელთა მატერიალური შემოსავალი ფიქსირდება 10 000 ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევათ.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გაცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 70 000 ლარი, თანხის ოდენობა განისაზღვრა:

1. პირველ ახალშობილზე - 300 ლარი;
2. მეორე ახალშობილზე - 400 ლარი;
3. მესამე ახალშობილზე - 500 ლარი;
4. მეოთხე ახალშობილზე - 600 ლარი;
5. მეხუთე და ზემოთ - 800 ლარი;
6. ტყუპების შემთხვევაში - 1500 ლარი.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 80 000 ლარი. თანხის ოდენობა განისაზღვრა: უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არაუმცირეს 100 ლარის და არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 65 600 ლარი. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების თანხა თვეში 100 ლარია.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 2400 ლარი. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა (პირები რომლებისც სარგებლობენ კვების ობიექტით) დახმარების თანხა თვეში 100 ლარია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის არცერთ წევრს აზრი არ გამოუთქვამს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ, კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 35 000 ლარი. დახმარების თანხა ბენეფიციარზე 200 ლარია.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 120 000 ლარი. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა თვეში 300 ლარია.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

9.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 82 000 ლარი, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა თვეში - არაუმეტეს 300 ლარი (სოფელში) და 400 ლარი (ქალაქში).

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

10.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 370 000 ლარი; აქედან სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ასევე დაზიანდა ხანძრის ან სტიქიის შედეგად დახმარების თანხა განისაზღვრა 70 000 ლარით. მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვრა 300 000 ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცებისშესახებ.

11.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 20 000 ლარი. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბენეფიციარის დახმარების თანხა თვეში 150 ლარია.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

12.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 70 000 ლარი. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე გაიცემა 100 ლარი ყოველთვიურად.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცებისშესახებ.

13.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 8

000 ლარი. 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდება ორჯერ სამას სამასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

14.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 5000 ლარი. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება განისაზღრა 800 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის არცერთ წევრს აზრი არ გამოუთქვამს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

15.
მოისმინეს: მომხსენებელმა,საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 13 000 ლარი. დახმარების თანხა განისაზღვრა 1000 ლარის ოდენობით,წელიწადშიერთჯერ.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

16.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 18 000 ლარი. დახმარება ბენეფიციარებისათვის განისაზღვრა თვეში სამასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

17.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 25 000 ლარი. პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები მიეცემათ 100 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის არცერთ წევრს აზრი არ გამოუთქვამს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი სადღესაწაულო დღეებიის მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

18.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 25 000 ლარი. ბავშვისა და სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიან ოჯახებს მიეცემათ დახმარება წელიწადში ერთჯერ, არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

19.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 25 000 ლარი. დაფინანსება განისაზღვრება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის თვეში მიღებული მომსახურების (სარეაბილიტაციო კურსი - 10 საათი) თანხის არაუმეტეს 220 ლარისა, ან ფაქტობრივი მომსახურების შესაბამისად ყოველი თვის ათ რიცხვამდე წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

2026 წლის სოციალური პროგრამების დაფინანსება 2025 წელთან შედარებით გაიზარდა 150 000 ლარით.

კომისიის თავმჯდომარე:

ლაშა ლანჩავა